# ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების ატვირთვის ინსტრუქცია

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინების ატვირთვა ხდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge ) მეშვეობით მომხმარებლის პირადი ანგარიშიდან.






ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებებზე გადასვლის შემდგომ, აირჩიეთ ველი „ახალი განცხადების რეგისტრაცია,“ შემდგომ - „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინება“




თუ სასაქონლო პარტია შედგება რამდენიმე დასახელების ინდივიდუალური დაცვის საშუალებისგან, შესაძლებელია წარდგენილ იქნას ერთი ან რამდენიმე „შეტყობინება.“ ერთი „იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესახებ განაცხადი, რომელთათვისაც ცალ-ცალკე უნდა შეავსოთ ყველა გრაფა და ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტი. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების იმპორტის წინასწარი შეტყობინება მოიცავს რამდენიმე გრაფას, რომელიც შედგება ქვეგრაფებისგან. ეს გრაფებია:

1. პროდუქტი;
2. ინვოისი;
3. მწარმოებელი;
4. ექსპორტიორი;
5. შესაბამისობის დეკლარაცია;
6. შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;
7. საკანონმდებლო გამონაკლისი;
8. ფაილის ატვირთვა;

# 1. პროდუქტი




პროდუქტის გრაფაში მიუთითეთ ინფორმაცია კონკრეტული ინდივიდუალური დაცვის საშუალების შესახებ.

- „კატეგორია“ – შეარჩიეთ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილებით დამტკიცებული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში - „ტექნიკური რეგლამენტი“) X და XI დანართებით განსაზღვრული საქონლის შესაბამისი კატეგორია;
- „დასახელება“ – შეარჩიეთ ტექნიკური რეგლამენტის X და XI დანართებით განსაზღვრული საქონლის შესაბამისი დასახელება;
- „დასახელება (სხვა)“ - აღინიშნება საქონლის ზოგადი აღწერილობა ან მისი დასახელება;
- „კოდი“ – მიუთითეთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი X-ით გათვალისწინებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდებიდან ერთ-ერთი, ხოლო დანართი XI-ით გათვალისწინებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემთხვევაში, აღნიშნული გრაფა არ ივსება;
- „რაოდენობა“ – აღნიშნეთ კონკრეტული საქონლის რაოდენობრივი მაჩვენებელი
- „საზომი ერთეული“ – მიუთითეთ შესაბამისი ზომის ერთეული: ცალი.

# 2. ინვოისი




„ინვოისი" – გრაფის შესაბამის განყოფილებებში აღნიშნეთ კონკრეტული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის:

ნომერი;

თარიღი;

# 3.მწარმოებელი




მწარმოებლის გრაფაში მიუთითეთ ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის შესახებ.

- „ქვეყანა“ – შეარჩიეთ ის ქვეყანა, სადაც წარმოებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალება; (წარმოების ქვეყანა- ქვეყანა, რომელშიც პროდუქტი დამზადდა)
- „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი;
- „მისამართი“ – მწარმოებლის მისამართი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (უშუალოდ მწარმოებელი იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მისამართი)[1]

[1] მაგალითად: მწარმოებელი ორგანიზაცია შეიძლება დაფუძნებული იყოს გერმანიაში (ეს მისამართი მიეთითება ქვეგრაფაში „მისამართი“), ხოლო პროდუქტს ამზადებდეს ჩინეთში (მიეთითება ქვეგრაფაში „ქვეყანა“)

# 4.ექსპორტიორი




ექსპორტიორის გრაფაში მიუთითეთ ინფორმაცია კონკრეტული საქონლის ექსპორტიორის შესახებ.

- „ქვეყანა“ – შეარჩიეთ ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალების ექსპორტი; (მიეთითება ქვეყანა, საიდანაც უშუალოდ იგზავნება პროდუქტი. მაგ: თუ თქვენი მომწოდებელი ორგანიზაცია ფუნქციონირებს თურქეთში და თურქეთიდან იგზავნება პროდუქტი, მაშინ „ქვეყანაში“ მიუთითეთ თურქეთი)
- „ს/ნ ან პ/ნ“ - მიუთითეთ ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- „დასახელება“ – იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – სახელწოდება, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი; (ექსპორტიორი ორგანიზაცია- არის ორგანიზაცია, რომელიც არის მომწოდებელი.)[2]
- „მისამართი“ – ექსპორტიორის მისამართი;

[2] მაგალითად: იმპორტიორმა შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანოს პროდუქტი, რომელიც შეიძინა თურქეთში რეგისტრირებული ორგანიზაციისგან. თავისმხრივ თურქეთში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ ეს პროდუქტი შეიძინა ჩინეთში. ამ შემთხვევაში გრაფაში „ექსპორტიორი“ ივსება თურქეთში არსებული ორგანიზაციის მონაცემები და ექსპორტიორ ქვეყანაში მიეთითება თურქეთი.

# 5.შესაბამისობის დეკლარაცია




„შესაბამისობის დეკლარაციის“ გრაფა ივსება, თუ საქონელს თან ახლავს ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული „შესაბამისობის დეკლარაცია“ და განყოფილების ქვეგრაფებში შესაბამისად მიუთითეთ:

- გაცემის თარიღი;
- წარმოდგენილი დოკუმენტის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- იმ სტანდარტის ნომერი/ტიპის გამოცდის სერთიფიკატის მონაცემები, რომელსაც აკმაყოფილებს კონკრეტული საქონელი;

შესაბამისობის დეკლარაცია

მწარმოებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რითაც მწარმოებელი იღებს პროდუქტის შესაბამისობაზე პასუხისმგებლობას და მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალების პარტიის ან სერიის ნომერს;
- მწარმოებლის დასახელებასა და მისამართს;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალების აღწერასა და აუცილებლობის შემთხვევაში თანდართულ ფერად სურათს;
- მითითებას მოქმედ კანონმდებლობაზე და გამოყენებულ სტანდარტებზე;
- შესაბამის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელი პირისა და გაცემული სერტიფიკატების მონაცემებს;
- მწარმოებლის ხელმოწერას, შედგენის ადგილისა და თარიღის მითითებით.

# 6.შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი




გრაფა „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი“ ივსება, თუ „შესაბამისობის დეკლარაციის“ ნაცვლად, წარმოდგენილია შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამ განყოფილების ქვეგრაფებში მიუთითეთ:

- შესაბამისი დოკუმენტის დასახელება;
- „დამატებითი ინფორმაცია“ – ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქონლის შესაბამისობის დასადგენად;

# 7.საკანონმდებლო გამონაკლისი




გრაფის განყოფილება „საკანონმდებლო გამონაკლისი“ ივსება, თუ არ არსებობს „შესაბამისობის დეკლარაციის“ ან შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება.

- „საფუძველი“ - მიუთითეთ შესაბამისი საფუძველი ჩამონათვალიდან. (მაგალითისათვის: თუ სახეზეა ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-5 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი (მათ შორის, „განკუთვნილია შეიარაღებული ძალების გამოყენებისთვის ან კანონისა და წესრიგის დასაცავად“, „გამოიყენება საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე“, „განკუთვნილის გამოფენაზე განსათავსებლად“, ან „სხვა“)). აღნიშნული გარემოება უნდა დასტურდებოდეს სათანადო დოკუმენტ(ებ)ით.
- „დამატებითი ინფორმაცია“ - მიუთითეთ კონკრეტული მიზეზები და დასაბუთება, თუ რატომ ექცევა აღნიშნული პროდუქტი საკანონმდებლო გამონაკლისში

# 8.ფაილის ატვირთვა




„ფაილის ატვირთვა“ - უნდა ატვირთოთ ინვოისი, შესაბამისობის დეკლარაცია/ შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ან საკანონმდებლო გამონაკლისის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

„პლიუსზე“ დაკლიკებით (click) აღნიშნული პროდუქტი დაემატება ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმპორტის წინასწარ შეტყობინებას.
იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტიორს რამდენიმე სხვადასხვა პროდუქტი შემოაქვს, ერთ-ერთის დამატების შემდეგ ქვემოთ ჩნდება იგივე გრაფები, რომლებიც უნდა შეივსოს ანალოგიურად.




„შეტყობინების" სხვა გრაფები უნდა შეავსოთ გრაფის დასახელების შესაბამისად, კერძოდ:

ა)„პასუხისმგებელი პირის პ/ნ ან ს/ნ" – მიუთითეთ საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი (მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ საქონელზე პასუხისმგებელი პირი არარეზიდენტი ან მეწარმე ფიზიკური პირია) ან პირადი ნომერი;

ბ) „პასუხისმგებელი პირის დასახელება" – მიუთითეთ საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) სახელწოდება ან სახელი და გვარი;

გ) „პასუხისმგებელი პირის მისამართი" – მიუთითეთ საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) მისამართი;

დ)„პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ტელეფონი" – მიუთითეთ საქონელზე პასუხისმგებელი პირის (იმპორტიორი ან მისი წარმომადგენელი) აქტიური ტელეფონის ნომერი;

ე)„სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – შეავსეთ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში და მიუთითეთიმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნ(ებ)ა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, შესაბამისი კონტეინერის ნომერი, საჰაერო ხომალდის რეისის, ბორტის და ავიაზედდებულის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვ.). ასევე უნდა მიუთითოთ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის დასახელება;
ვ)„სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – შეავსეთ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში და მიუთითეთ იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხორციელდება საქონლის მიწოდება გაფორმების ეკონომიკურ ზონამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, შესაბამისი კონტეინერის ნომერი, საჰაერო ხომალდის რეისის, ბორტის და ავიაზედდებულის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვ.). ასევე უნდა მიუთითოთ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის დასახელება;
ზ)„საბაჟო პუნქტი“ – მიუთითეთ ის საბაჟო გამშვები პუნქტი, საბაჟო საწყობი, ან გაფორმების ეკონომიკური ზონა, სადაც პროდუქცია განთავსდება იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაშვებამდე.